

შპს „კახური“

ს/კ 231244230

ფინანსური ანგარიშგება 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული საანგარიშგებო
წლისათვის

შპს "კახური"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	3810345	3179488	
ფული და ფულის ეკვივალენტები	800617	644906	3,1
სავაჭრო მოთხოვნები	241803	318484	3,2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	6707	19728	3,3
მარაგი	2747560	2185366	3,4
სხვა მიმდინარე აქტივები	13658	11004	3,5
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	627382	400706	
ძირითადი საშუალებები	592829	365813	3,6
ბიოლოგიური აქტივები	50	50	
არამატერიალური აქტივები	34503	34843	3,7
სულ აქტივები:	4437727	3580194	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	1026297	1166079	
სავაჭრო ვალდებულებები	130670	108166	3,8
მოკლევადიანი სესხები	37682	1000000	3,9
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	857945	57913	3,10
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	201608		
გრძელვადიანი სესხები	201608		3,11
<i>სულ კაპიტალი:</i>	3209822	2414115	3,12
საწესდებო კაპიტალი	497816	497816	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	2712006	1916299	
არამაკონტროლებელი წილი			
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	4437727	3580194	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი

გიორგი მარკოზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "კახური"

2018 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება (საქმიანობის შედეგები)

ერთეული: 1 GEL		შენიშვნა
	საანგარიშგებო პერიოდი	
	2018	
ამონაგები	4001236	
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-1884831	
სულ საოპერაციო შემოსავლები:	2116405	3,13
მიწოდების ხარჯები	-75142	3,14
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-750791	3,15
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	-56452	3,16
სულ საოპერაციო ხარჯები:	-882385	
დადებითი საკურსო სხვაობები	8446	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	86834	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	95280	3,17
ფინანსური დანახარჯები	-114484	
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-155	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-80771	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-4	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-195414	3,18
მოგება დაზღვრამდე:	1133886	
მოგების გადასახადის ხარჯი	-49938	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	1083948	3,19
სხვა სრული შემოსავალი		
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:		
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	1083948	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი

გიორგი მარკოზაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

შპს "კახური"

2018 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	497816	1916299	2414115
სააღრიცხვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები			
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები			
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები	497816	1916299	2414115
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		1083948	1083948
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1083948	1083948
განაწილებული დივიდენდები		-288241	-288241
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები		-288241	-288241
ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	497816	2712006	3209822

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი

გიორგი მარკოზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2018 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი
	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	4911132
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-3199009
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	1712123
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-327517
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-327517
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
სესხების აღება	1784334
სესხების დაფარვა	-2586977
გადახდილი პროცენტები	-114484
გადახდილი დივიდენდები	-273829
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-1190956
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	-37939
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	155711
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	644906
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	800617

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი

გიორგი მარკოზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

2018 წლის ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები

1. ზოგადი ნაწილი

1.1. შპს „კახური“ (შემდგომში – კომპანია) წარმოადგენს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებას, რომელიც მოქმედებს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. კომპანია დარეგისტრებულია 2001 წლის 20 მარტს თელავის რაიონის სასამართლოს მიერ „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად. მისი საიდენტიფიკაციო კოდია - 231244230, იურიდიული მისამართი - საქართველო, ქ. თელავი, თბილისის გზატკეცილი, N 1. კომპანია დარეგისტრებულია დღგ-ის გადამხდელად.

1.2. კომპანიის დამფუძნებელი პარტნიორები არიან საქართველოს მოქალაქე ფიზიკური პირები: ზურაბ გოლეტიანი (პ.ნ. 20001000086) - 33,3%, დავით დოლმაზაშვილი (პ.ნ. 01001002469) - 33,3%, გიორგი მარკოზაშვილი (პ.ნ. 20001005266) - 33,4%. სამივე მათგანი იმავდროულად წარმოადგენს კომპანიის დირექტორს.

1.3. კომპანიის ძირითადი ეკონომიკური საქმიანობაა ყურძნის გადამამუშავებით ნატურალური ღვინის წარმოება და რეალიზაცია. სხვა ეკონომიკური საქმიანობაა - არყის (ჭაჭის) წარმოება.

1.4. კომპანიას 2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით, არ ჰყავს კომერციულ საქმიანობას მიმდევარი შვილობილი და მეკავშირე საწარმოები.

1.5. წესდების მიხედვით, საანგარიშგებო წელი გრძელდება 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით.

2. მომზადების საფუძველი და გამოყენებული სააღრიცხვო პოლიტიკა

2.1. 2017 წლის 1 იანვრიდან დაწყებული, კომპანიის ბუღალტრული აღრიცხვა და ფინანსური ანგარიშგება წარმოებს მსს ფასს-ის (ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და საშუალო საწარმოებისათვის) მიხედვით. ამასთან, კომპანია წარმოადგენს მესამე კატეგორიის საწარმოს „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს 2016 წლის 8 ივნისის კანონის თანახმად. აღნიშნული კანონიდან გამომდინარე, კომპანიას არ ევალება წლიური ფინანსური ანგარიშგების აუდიტი.

2.2. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია საქმიანობის უწყვეტობის და პირვანდელი (ისტორიული) ღირებულების პრინციპის გათვალისწინებით. აღრიცხვა-ანგარიშგების ფუნდამენტური სააღრიცხვო პრინციპი - დარიცხვის მეთოდი დაცულია. სააღრიცხვო შეფასებები და ძირითადი დაშვებები მუდმივად გადაიხედება. სააღრიცხვო შეფასების ცვლილების აღიარება ხდება იმ პერიოდში, როდესაც ხდება შეფასებების გადახედვა და ასევე შესაბამის მომავალ პერიოდებში.

2.3. გათვალისწინებულია მსს ფასს-ის ძირითადი დაშვება - ფუნქციონირებადი საწარმოს პრინციპი, რაც გულისხმობს, რომ კომპანიის მენეჯმენტი არ გეგმავს და არ მოელის, რომ მინიმუმ უახლოესი ერთი წლის განმავლობაში კომპანია შეწყვეტს ფუნქციონირებას, ან მოხდება მისი საქმიანობის მასშტაბის არსებითი შეზღუდვა. შესაბამისად, კომპანიის 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება მომზადდა ამ დაშვების გათვალისწინებით, რაც გულისხმობს, რომ აქტივების რეალიზაცია/გასვლა და ვალდებულებების დაფარვა ხორციელდება ბიზნესის ჩვეულებრივი მსვლელობისას.

2.4. 2018 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებულია ამ თარიღის მდგომარეობით მოქმედი მსს ფასს.

2.5. კომპანიის საანგარიშგებო პერიოდი ემთხვევა კალენდარულ წელს (1 იანვრიდან 31 დეკემბრამდე).

2.6. კომპანიის მიერ გამოყენებულია შემდეგი სააღრიცხვო პოლიტიკა:

შემოსავლების აღიარება

შემოსავლების აღიარება ხდება საქონლის და მომსახურების გაყიდვიდან ჩვეულებრივი საქმიანობის პროცესში მისაღები ან მიღებული თანხის სამართლიანი ღირებულებით, დარიცხვის მეთოდის შესაბამისად.

რეალიზებული საქონლის უკან დაბრუნება და ფასდათმობა აღიარებულია შემოსავლის შემცირების გზით, გაყიდვების აღიარებასთან ერთად.

საეჭვო მოთხოვნების აღიარება

კომპანიის საეჭვო მოთხოვნების სიდიდე განისაზღვრება ინდივიდუალურად თითოეული დებიტორული დავალიანების შესწავლის გზით. თუ დებიტორული დავალიანების წარმოშობიდან გასულია 3 წელი ან მეტი, ეს წარმოადგენს წინაპირობას მისი 100%-იანი გაუფასურებისათვის, თუმცა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში ხდება დამატებითი განსჯა, საჭიროა თუ არა მოთხოვნის გაუფასურების ანარიცხის შექმნა, ან დებიტორული დავალიანების უფრო ადრე აღიარება საეჭვო მოთხოვნად.

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები

ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების ამორტიზებული ღირებულება ყოველი საანგარიშგებო პერიოდისთვის წარმოადგენს შემდეგი სიდიდეების ნეტო ღირებულებას:

(ა) თანხა, რომლითაც ფინანსური აქტივი ან ფინანსური ვალდებულება შეფასებულია თავდაპირველი აღიარებისას;

(ბ) გამოკლებული ძირი თანხის დასაფარად გადახდილი თანხები;

(გ) მიმატებული ან გამოკლებული დაგროვილი ამორტიზაციის თანხა, რომელიც მიიღება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით თავდაპირველად აღიარებულ და დასაფარ თანხებს შორის განსხვავების მიმართ; და

(დ) გამოკლებული, ფინანსური აქტივის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალის ან უიმედო ვალის შემცირების თანხა (პირდაპირ, ან რეზერვების ანგარიშების გამოყენებით).

ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები, რომლებსაც არ გააჩნია ნომინალური საპროცენტო განაკვეთი, დაკავშირებული არ არის ისეთ შეთანხმებასთან, რომელიც ფინანსურ ოპერაციას წარმოადგენს და კლასიფიცირდება, როგორც მოკლევადიანი აქტივები ან მოკლევადიანი ვალდებულებები, თავდაპირველად შეფასდება არადისკონტირებული ღირებულებით. აქედან გამომდინარე, მათზე არ ვრცელდება ზემოაღნიშნული (გ) პუნქტის მოთხოვნა.

ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდი არის ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების (ან ფინანსური აქტივების, ან ფინანსური ვალდებულებების ჯგუფის) ამორტიზებული ღირებულების გამოთვლისა და საპროცენტო შემოსავლების ან ხარჯების შესაბამის პერიოდზე მიკუთვნების მეთოდი. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი არის განაკვეთი, რომლის მეშვეობით ფინანსური ინსტრუმენტის მოსალოდნელი ვადის ან, როდესაც შესაფერისია, უფრო მოკლე ვადის განმავლობაში მისაღები ან გადასახდელი სავარაუდო ფულადი სახსრები ზუსტად დისკონტირდება ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების წმინდა საბალანსო ღირებულებამდე. ეფექტური საპროცენტო განაკვეთი უნდა განისაზღვროს ფინანსური აქტივის ან ფინანსური ვალდებულების საბალანსო ღირებულებაზე დაყრდნობით, რომელიც მას გააჩნია საწყისი აღიარებისას. ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის მიხედვით:

(ა) ფინანსური აქტივის (ვალდებულების) ამორტიზებული ღირებულება არის მომავალში მისაღები (გადასახდელი) ფულადი სახსრების დღევანდელი ღირებულება, რომელიც დისკონტირებულია ეფექტური საპროცენტო განაკვეთით; და

(ბ) პერიოდის საპროცენტო ხარჯი (შემოსავალი) ტოლია მოცემული პერიოდის ფუნქციური საპროცენტო განაკვეთისა და ფინანსური ვალდებულების (აქტივის) საბალანსო ღირებულების ნამრავლის, რომელიც მას ჰქონდა პერიოდის დასაწყისში.

გარიგებები უცხოურ ვალუტაში

გარიგებები უცხოურ ვალუტაში კონვერტირდება კომპანიის შესაბამის ფუნქციონალურ ვალუტაში ტრანზაქციების განხორციელების დღეს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური სავალუტო გაცვლითი კურსის მიხედვით. ანგარიშგების თარიღისთვის უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიცვლება ფუნქციონალურ ვალუტაში, ამავე თარიღისთვის არსებული გაცვლითი კურსის მიხედვით. უცხოურ ვალუტაში წარმოდგენილი არაფულადი აქტივები და ვალდებულებები, რომლებიც დაიანგარიშება სამართლიანი ღირებულებით, კონვერტირდება ფუნქციონალურ ვალუტაში სამართლიანი ღირებულების განსაზღვრის დღისთვის არსებული ვალუტის გაცვლითი კურსის მიხედვით. არაფულადი ერთეულები უცხოურ ვალუტაში, რომელიც გამოთვლილია ისტორიული ღირებულების საფუძველზე, გადაყვანილია ტრანზაქციის თარიღისთვის მოქმედი გაცვლითი კურსით. ვალუტის გადაფასებით გამოწვეული სავალუტო საკურსო სხვაობები აისახება პერიოდის მოგებაში ან ზარალში.

დაქირავებულ პირთა გასამრჯელოები

თანამშრომელ პირთა გასამრჯელოები აღიარდება შესრულებული სამუშაოს საფუძველზე არადისკონტირებული ღირებულებით და შესაბამისად აისახება ხარჯებში. ასანაზღაურებელი თანხა აღიარდება მოკლევადიანი ვალდებულების სახით.

მარაგები

მარაგები აღირიცხება უწყვეტი მეთოდით. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს, ისინი შეფასებულია თვითღირებულებასა და წმინდა სარეალიზაციო ღირებულებას შორის უმცირესით. წმინდა სარეალიზაციო ღირებულება არის ბიზნესის ჩვეულებრივ პირობებში საქმიანობისას არსებული აქტივის გასაყიდ ფასს გამოკლებული დანახარჯები, რომლებიც დაკავშირებულია აქტივის გაყიდვასთან. მარაგების ჩამოწერა ხდება სპეციფიკური იდენტიფიკაციის მეთოდის საშუალებით, თუ ეს შესაძლებელი და მიზანშეწონილია, ხოლო სხვა შემთხვევებში - საშუალო ფასთა მეთოდის გამოყენებით.

ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები

ფულად სახსრებს და მათ ეკვივალენტებს კომპანიისთვის წარმოადგენს ფული სალაროში და ფული მიმდინარე საბანკო ანგარიშებზე.

გრძელვადიანი აქტივები

ა) ძირითადი საშუალებების, საინვესტიციო ქონების და არამატერიალური აქტივების აღრიცხვისათვის გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ბ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთისათვის გამოიყენება წრფივი მეთოდი. ამასთან, ცვეთის დარიცხვა იწყება იმ თვიდან, როდესაც ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გამოყენება დაიწყო, ხოლო იმ თვეში, როდესაც მოხდა ძირითადი საშუალების/საინვესტიციო ქონების გასვლა, ცვეთის დარიცხვა არ ხდება.

გ) ძირითადი საშუალებებისა და საინვესტიციო ქონების ცვეთა ხდება საბალანსო და სალიკვიდაციო ნარჩენ ღირებულებებს შორის სხვაობიდან სასარგებლო სამსახურის ვადის გათვალისწინებით. თუ კონკრეტული ძირითადი საშუალებისთვის ან საინვესტიციო ქონებისთვის ნარჩენი სალიკვიდაციო ღირებულება განსაზღვრული არ არის, ის ჩაითვლება ნულის ტოლად, ხოლო თუ სასარგებლო სამსახურის ვადა არ არის დადგენილი, ცვეთის დარიცხვა ხდება შემდეგი წლიური საპროცენტო განაკვეთების მიხედვით:

შენობა-ნაგებობები - 25 წელი;

მანქანა-დანადგარები - 5-10 წელი;

კომპიუტერული ტექნიკა - 4 წელი;

ავეჯი და ოფისის აღჭურვილობა - 5 წელი;

სატრანსპორტო საშუალებები - 5 წელი;

სხვა ძირითადი საშუალებები - 2-5 წელი.

ე) არამატერიალური აქტივების ამორტიზაციისათვის გამოიყენება:

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის, რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა და ეს ვადა განსაზღვრულია, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი მათი სასარგებლო სამსახურის ვადის შესაბამისად;

- იმ არამატერიალური აქტივებისათვის (გარდა სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამისა), რომელთაც აქვთ შეზღუდული სასარგებლო მომსახურების ვადა, მაგრამ ეს ვადა ცალსახად განსაზღვრული არ არის, გამოიყენება ამორტიზაციის დარიცხვის წრფივი მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით - 10%; სასაწყობო აღრიცხვის კომპიუტერული პროგრამის ამორტიზაციისათვის გამოიყენება კლებადი ნაშთის მეთოდი წლიური საპროცენტო განაკვეთით 15%.

- არამატერიალური აქტივები განუსაზღვრელი სასარგებლო მომსახურების ვადით არ ამორტიზდება.

მენეჯმენტის მოსაზრებით, ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკის გამოყენებისას არ არსებობს კრიტიკული გადაწყვეტილებები, რომელსაც შეუძლია გავლენა იქონიოს ფინანსური ანგარიშგების მუხლებში აღიარებულ თანხებზე და არ არსებობს ვარაუდები

და შესაძლო გაურკვევლობები, რომელიც შეიძლება შეიცავდეს არსებითი კორექტირებების მნიშვნელოვან რისკებს მომავალი ფინანსური წლის შედეგებზე.

2.7. გადასახადები

2016 წელს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადის რეფორმის შესახებ (რომელიც ასევე ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი გაცემის თარიღამდე. კანონი ძალაშია საგადასახადო პერიოდებისთვის 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ყველა იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური დაწესებულებებისა (როგორიც არის ბანკები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, საკრედიტო კავშირები და დადგენილი წესით რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები), რომლებისთვისაც კანონი მოგვიანებით შედის ძალაში (2023 წლის 1 იანვრიდან). კომპანიის დაბეგვრა მოგების გადასახადით ხდება „ესტონური მოდელის“ შესაბამისად.

ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, საქართველოში რეგისტრირებულ კომპანიებს, როგორც წესი, არ წარმოეშვებათ დროებითი სხვაობები კომპანიის საგადასახადო ვალდებულებებსა და მათ საბალანსო ღირებულებებს შორის. შესაბამისად, 2017 წლიდან მათ არ აქვთ გადავადებული საგადასახადო აქტივები და გადავადებული მოგების გადასახადის ვალდებულებები (გარდა იშვიათი გამონაკლისი შემთხვევებისა).

2017-2018 წლებში საქართველოში მოგების გადასახადის განაკვეთი 15%-ს შეადგენდა.

2.8. წარდგენის ვალუტა და ერთეულის სიზუსტე

საქართველოს ეროვნულ ვალუტას წარმოადგენს ქართული ლარი, რომელიც არის კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა და აგრეთვე ვალუტა, რომელშიც არის წარმოდგენილი კომპანიის ფინანსური ანგარიშგება. ფინანსური ანგარიშგება წარმოდგენილია 1 (ერთი) ლარის სიზუსტით.

2.9. გაცვლითი სავალუტო კურსები

სავალუტო ფულადი მუხლებისათვის გამოყენებულია შემდეგი ოფიციალური გაცვლითი კურსები, დადგენილი საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ:

2018 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.6766 ლარი;

1 EUR=3.0701 ლარი.

2017 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით:

1 USD=2.5922 ლარი;

1 EUR=3.1044 ლარი.

საშუალო სავალუტო გაცვლითი კურსი შეადგენდა:

2018 წელს: 1 USD=2.5345 ლარი;

1 EUR=2.9940 ლარი.

2017 წელს: 1 USD=2.5086 ლარი;

1 EUR=2.8596 ლარი.

3. ფინანსური ანგარიშგების მუხლების განმარტებითი შენიშვნები

3.1. ფული და ფულის ეკვივალენტები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
ნაღდი ფული სალაროში	2010	1846
ლარი საბანკო ანგარიშებზე	32435	1821
აშშ დოლარები საბანკო ანგარიშებზე	714499	630896
ევროები საბანკო ანგარიშებზე	51516	10341
სხვა ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	156	2
სულ:	800617	644906

3.2. სავაჭრო მოთხოვნები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
სავაჭრო მოთხოვნები რეზიდენტი პირების მიმართ	202395	295564
სავაჭრო მოთხოვნები არარეზიდენტი პირების მიმართ	39408	22920
სულ:	241803	318484

3.3. გადახდილი ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
რეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	3401	9206
არარეზიდენტ მიმწოდებლებზე გადახდილი ავანსები	3306	10522
სულ:	6707	19728

3.4. მარაგები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გასაყიდი საქონელი	4801	3680
ნედლეული და მასალები	2411795	1894673
მზა პროდუქცია	317999	272688
საწვავ-საცხები მასალები	3577	3412
სხვა სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	9388	10913
სულ:	2747560	2185366

3.5. სხვა მიმდინარე აქტივები:

სხვა მიმდინარე აქტივები მოიცავს წინასწარ გადახდილ გადასახადს.

3.6. ძირითადი საშუალებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017 წელი დარიცხული ცვეთა	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
მიწის ნაკვეთი ს/კოდი 53.20.33.191 ყოფ. 53.17.144.028 (1200 მ2)	3150			3150			3150
ნაყოფის მომცემი კულტურები	8927			8927			8927
დასამონტაჟებელი ძირითადი საშუალებები	33566	12551		21015	-19129		40144
მიმოსვლის გზები	8383		429	8811		429	9240
შენობები	146944		10173	157117		10173	167290
ნაგებობები	6651		399	7050		440	7490
მანქანა-დანადგარები	276237	287626	26780	15390	13458	29918	31850
ელექტროძრავები და დიზელ- გენერატორები	8270		2101	10371		2610	12981
ელექტროგადამცემის საშუალებები	6033		1081	7113		1081	8194
მილსადენები	0			0			0
კონსტრუქციები	3124		360	3484	3604	120	0
ოფისის აღჭურვილობა, კომპ. ტექნიკის და ავეჯის გარდა	0			0			0
კომპიუტ. ტექნიკა და პერიფერიული მოწყობილობები	5312		2049	7361	7096	423	687
ელექტრონული მოწყობილობები (გარდა კომპიუტერული ტექნიკისა)	247		446	693		446	1139
ავეჯი	0			0		281	281
ინვენტარი	11390		4453	15843	10662	3153	8334
სპეციალური ინსტრუმენტები	0			0			0
მსუბუქი ავტომობილები	21613		11600	33213	14589	-4480	14144
ავტოსატრანსპორტო ტექნიკა გზებზე გამოსაყენლად	20086		5683	25769	27390	2440	818
სხვა ავტოსატრანსპორტი	12958		3500	16458		3500	19958
სხვა ამორტიზებადი ძირითადი საშუალებები	0			0		2522	2522
მცირეფასიანი ძირითადი საშუალებები	19939	23984	28093	24048	12654	23294	34688
სულ:	592829	324161	97145	365813	70324	76349	371838

კომპანიის სააღრიცხვო პოლიტიკით, ძირითადი საშუალებების მიმართ გამოიყენება თვითღირებულების მოდელი.

ძირითადი საშუალებების ერთიანი დაგროვილი ცვეთის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 1 295 000 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 1 197 855 ლარი.

3.7. არამატერიალური აქტივები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	2018 წელი ზრდა ან შემცირება	2018 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	2017 წელი ზრდა ან შემცირება	2017 წელი დარიცხული ამორტიზაცია	ნაშთი 01.01.2017 მდგომარეობით
პატენტები	1672		279	1951		279	2230
პროგრამული უზრუნველყოფა	28535		4357	32892	1780	4947	36059
ექსპლუატაციაში არ შესული პროგრამული უზრუნველყოფა	4296	4296					
სულ:	34503	4296	4636	34843	1780	5226	38289

არამატერიალური აქტივების ერთიანი დაგროვილი ამორტიზაციის თანხა შეადგენდა:

2018 წლის ბოლოს - 19 585 ლარი;

2017 წლის ბოლოს - 14 950 ლარი.

3.8. სავაჭრო ვალდებულებები:

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს დავალიანებებს რეზიდენტი მიმწოდებლების მიმართ.

31.12.2018 წ. მდგომარეობით, კომპანიას ჰქონდა კრედიტორული დავალიანება 12 რეზიდენტი მიმწოდებლისა წინაშე.

3.9. მიმდინარე სასესხო ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
გრძელვადიანი სესხის მიმდინარე ნაწილი რეზიდენტი ბანკიდან 2018წ.	37682	
მოკლევადიანი სესხი რეზიდენტი ბანკიდან 2017წ.		1000000
სულ:	37682	1000000

3.10. სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
მიღებული ავანსები	856975	57028
გადასახდელი ხელფასები	600	
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	370	885
სულ:	857945	57913

3.11. გრძელვადიანი ფინანსური ვალდებულებები:

31.12.2018 წ. მდგომარეობით კომპანიას აღებული აქვს გრძელვადიანი სესხი 201 608 ლარი ადგილობრივი ბანკიდან.

3.12. საკუთარი კაპიტალი:

	ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით
წესდებით დადგენილი კაპიტალი	497816	497816
გაუნაწილებელი მოგება	2712006	1916299
სულ:	3209822	2414115

2016 წლის 13 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი მოგების გადასახადით დაბეგვრის რეფორმის შესახებ (დაბეგვრის ახალი წესი ცნობილია მოგების გადასახადის „ესტონური მოდელის“ სახელით), რაც ნიშნავს დაბეგვრის მომენტის გადატანას მოგების გამომუშავების თარიღიდან მისი ფაქტობრივად გაცემის თარიღამდე. 2017 წლის 1 იანვრის შემდეგ ეს კანონი ძალაში შევიდა ყველა კომერციული იურიდიული პირისთვის, გარდა ფინანსური ინსტიტუტებისა (როგორც არის ბანკები, საკრედიტო კავშირები, სადაზღვევო კომპანიები, მიკროსაფინანსო ორგანიზაციები, რეგისტრირებული სესხის გამცემი სუბიექტები). ახალი საგადასახადო სისტემიდან გამომდინარე, კომპანიის 2018 წლის მოგება შემცირებულია მოგების გადასახადის მხოლოდ იმ ოდენობით, რაც წარმოიშვა 2018 წელს გაცემული დივიდენდებიდან (მოგების განაწილებიდან).

3.13. ნეტო ამონაგები და რეალიზებული საქონლის თვითღირებულება

2017-2018 წლებში, კომპანიის ნეტო-ამონაგები მთლიანად შედგებოდა ყურძნის გადამუშავებით მიღებული ღვინისა და არყის რეალიზაციიდან მიღებული შემოსავლებისგან. რეალიზებული საქონლის თვითღირებულება დათვლილია საშუალო შეწონილი ფასების მეთოდის გამოყენებით.

3.14. მიწოდების ხარჯები:

	2018 წელი
რეკლამის ხარჯები	408
მარკეტინგული ხარჯები	27947
დიზაინის მომსახურების ხარჯი	100
ტრანსპორტირებისა და შენახვის ხარჯები	14647
აქციზური მარკების ხარჯი	51
საღარი აპარატთან დაკავშირებული ხარჯები	56
მიწოდების სხვა ხარჯები	31933
სულ:	75142

3.15. საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები:

	2018 წელი
შრომის ანაზღაურება	440264
საიჯარო ქირა	1575
კომუნალური ხარჯი	8495
საოფისე ინვენტარის ხარჯები	1058
საკანცელარიო ხარჯები	732
კომპიუტერის, ქსეროქსისა და პრინტერის ხარჯები	1231
პროგრამული უზრუნველყოფის მომსახურების ხარჯი	42
კომუნიკაციის ხარჯები	7987
დაზღვევის ხარჯები	5079
საწვავის ხარჯი	32761
საკონსულტაციო და აუდიტის ხარჯები	27839
საერთო დანიშნულების ძირ. საშუალებების ცვეთა	101781
საგადასახადო ხარჯები	13063
საბანკო ხარჯები	8678
საბანკო ხარჯები კონვერტაციებიდან	11088
მივლინების ხარჯები	44236
ძირითადი საშუალების რემონტის ხარჯები	30317
წარმომადგენლობითი ხარჯები	220
სხვა საერთო ადმინისტრაციული ხარჯები	12581
საქველმოქმედო ხარჯები	1765
სულ:	750791

3.16. სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები:

	2018 წელი
წარამოებაში გამოყენებისათვის უვარგისი მატერიალური ფასეულობების ხარჯი	49821
საწარმოო დანიშნულების რემონტის ხარჯები	6383
სხვა საწარმოო ხარჯები	248
სულ:	56452

3.17. არასაოპერაციო შემოსავლები:

	2018 წელი
დადებითი საკურსო სხვაობები	8446
სხვა არასაოპერაციო შემოსავალი	86506
ვალების პატივით ან ჩამოწერით მიღებული შემოსავალი	327
სულ:	95280

სხვა არასაოპერაციო შემოსავალი წარმოადგენს ა(ა)იპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტოს მიერ სესხის თანადაფინანსებით მიღებულ შემოსავალს.

3.18. არასაოპერაციო ხარჯები:

	2018 წელი
საპროცენტო ხარჯები	114484
უარყოფითი საკურსო სხვაობები	80770
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	155
სხვა არასაოპერაციო ხარჯები	3
სულ:	195414

3.19. საანგარიშგებო პერიოდის მოგება-ზარალი:

კომპანიის 2018 წლის ფინანსური შედეგი შემცირებულია იმ მოგების გადასახადის ხარჯით, რომელიც წარმოიშვა მოგებიდან დივიდენდების გაცემის შედეგად („ესტონური მოდელის“ შესაბამისად).

3.20. საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები

2019 წლის 1 იანვრიდან 25 სექტემბრამდე პერიოდში, რამე საყურადღებო მოვლენას კომპანიის საქმიანობაში ან მის გარშემო ადგილი არ ჰქონია.

3.21. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია და ხელმოწერილია კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ 2019 წლის 25 სექტემბერს.

შპს "კახური"

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი		შენიშვნა
	31.12.2018	31.12.2017	
აქტივები			
<i>მიმდინარე აქტივები, სულ:</i>	3810345	3179488	
ფული და ფულის ეკვივალენტები	800617	644906	3.1
სავაჭრო მოთხოვნები	241803	318484	3.2
ავანსები და წინასწარ ანაზღაურებული ხარჯები	6707	19728	3.3
მარაგი	2747560	2185366	3.4
სხვა მიმდინარე აქტივები	13658	11004	3.5
<i>გრძელვადიანი აქტივები, სულ:</i>	627382	400706	
ძირითადი საშუალებები	592829	365813	3.6
ბიოლოგიური აქტივები	50	50	
არამატერიალური აქტივები	34503	34843	3.7
სულ აქტივები:	4437727	3580194	
ვალდებულებები და კაპიტალი			
<i>მოკლევადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	1026297	1166079	
სავაჭრო ვალდებულებები	130670	108166	3.8
მოკლევადიანი სესხები	37682	1000000	3.9
სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	857945	57913	3.10
<i>გრძელვადიანი ვალდებულებები, სულ:</i>	201608		
გრძელვადიანი სესხები	201608		3.11
<i>სულ კაპიტალი:</i>	3209822	2414115	3.12
საწესდებო კაპიტალი	497816	497816	
დაგროვილი მოგება / დაუფარავი ზარალი	2712006	1916299	
არამაკონტროლებელი წილი			
სულ ვალდებულებები და კაპიტალი:	4437727	3580194	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი  გიორგი მარკოზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "კახური"

2018 წლის მოგება-ზარალის ანგარიშგება (საქმიანობის შედეგები)

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი	შენიშვნა
	2018	
ამონაგები	4001236	
რეალიზებული პროდუქციის / გაწეული მომსახურების თვითღირებულება	-1884831	
სულ საოპერაციო შემოსავლები:	2116405	3,13
მიწოდების ხარჯები	-75142	3,14
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები	-750791	3,15
სხვა საწარმოო დანიშნულების ხარჯები	-56452	3,16
სულ საოპერაციო ხარჯები:	-882385	
დადებითი საკურსო სხვაობები	8446	
სხვა გაუთვალისწინებელი შემოსავლები	86834	
სულ არასაოპერაციო შემოსავლები:	95280	3,17
ფინანსური დანახარჯები	-114484	
საგადასახადო ჯარიმები და საურავები	-155	
უარყოფითი საკურსო სხვაობები	-80771	
სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები	-4	
სულ არასაოპერაციო ხარჯები:	-195414	3,18
მოგება დაბეგვრამდე:	1133886	
მოგების გადასახადის ხარჯი	-49938	
სულ პერიოდის მოგება ან ზარალი	1083948	3,19
სხვა სრული შემოსავალი		
სულ პერიოდის სხვა სრული შემოსავალი:		
სულ საანგარიშო პერიოდის სრული შემოსავალი:	1083948	

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი

გ. მარკოზაშვილი

გიორგი მარკოზაშვილი

თანმხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "კახური"

2018 წლის საკუთარი კაპიტალის ცვლილების ანგარიშგება

ერთეული: 1 GEL

	სააქციო / საწესდებო კაპიტალი	გაუნაწილ. მოგება / დაუფარავი ზარალი	სულ საკუთარი კაპიტალი
ნაშთი 31.12.2017 მდგომარეობით	497816	1916299	2414115
საალიცხოვო პოლიტიკის შეცვლით გამოწვეული კორექტირებები			
შეცდომის გასწორებით გამოწვეული კორექტირებები			
კორექტირების შედეგად გადაანგარიშებული ნაშთები	497816	1916299	2414115
საანგარიშგებო პერიოდის მოგება ან ზარალი		1083948	1083948
საანგარიშგებო პერიოდის მთლიანი სრული შემოსავალი		1083948	1083948
განაწილებული დივიდენდები		-288241	-288241
სულ მესაკუთრებთან განხორციელებული ოპერაციები		-288241	-288241
ნაშთი 31.12.2018 მდგომარეობით	497816	2712006	3209822

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი

გ. მუსხელიშვილი

გიორგი მარკოზაშვილი

თანხმდები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.



შპს "კახური"

2018 წლის ფულადი ნაკადების ანგარიშგება
(საოპერაციო საქმიანობიდან ნაკადების წარდგენის პირდაპირი მეთოდით)

ერთეული: 1 GEL

	საანგარიშგებო პერიოდი
	2018
ფულადი ნაკადები საოპერაციო საქმიანობიდან:	
მყიდველებისა და დამკვეთებისაგან მიღებული ფულადი სახსრები	4911132
საოპერაციო საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა გაცემები	-3199009
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საოპერაციო საქმიანობიდან	1712123
ფულადი ნაკადები საინვესტიციო საქმიანობიდან:	
ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების შეძენა	-327517
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საინვესტიციო საქმიანობიდან	-327517
ფულადი ნაკადები საფინანსო საქმიანობიდან:	
სესხების აღება	1784334
სესხების დაფარვა	-2586977
გადახდილი პროცენტები	-114484
გადახდილი დივიდენდები	-273829
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი საფინანსო საქმიანობიდან	-1190956
ვალუტის კურსის ცვლილებებით გამოწვეული ზრდა / კლება (ნეტო)	-37939
ფულადი სახსრების წმინდა ნაზრდი:	155711
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის დასაწყისისათვის:	644906
ფულადი სახსრები (ეკვივალენტები) პერიოდის ბოლოსათვის:	800617

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია გამოსაქვეყნებლად 25.09.2019 წ.

დირექტორი



გიორგი მარკოზაშვილი

თანხლები განმარტებითი შენიშვნები არის წარმოდგენილი ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილი.

